პირველად 35 პირველობის მანძილზე

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი.; 9 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 1:1 (1:0).

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხინჩაგაშვილი, ხურცილავა, ებრალიძე, ჭელიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ყიფიანი), რეხვიაშვილი.

“ზენიტი”: ოლეინიკი, დერიომოვი, სტრეპეტოვი, ფოკინი, ზაგუმენიხი, სადირინი, ხრომჩენკოვი, ვიუნი, ნიკოლაევი, ზინჩენკო, კაზაჩოკი.

მსაჯი: ა. ვასილიევი (ხარკოვი).

იმ 35 საკავშირო ჩემპიონატის მანძილზე, რაც თბილისის “დინამო” უმაღლეს ლიგაში გამოდის, ჯერ არასოდეს დაშვებულა იგი ასე დაბლა, სულ ძირს, გათამაშების ცხრილის ბოლო სტრიქონზე.

არნახული, გაუგონარი ამბავია! მართალია, იყო წლები, მთელი პერიოდებიც კი, როცა ჩვენი გუნდი განიცდიდა კრიზისს, სერიოზულ სიძნელეებს, მაგრამ ეს ჩვეულებრივ იმით იფარგლებოდა, რომ დინამოელები თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად გამოდიოდნენ, კარგავდნენ თავიანთ მუდმივ ადგილს მოწინავე ჯგუფში, ჩამორჩებოდნენ ლიდერებს, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა: თბილისის “დინამო” და ბოლო ადგილზე?!

რა თქმა უნდა, ამით სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, რომ ეს საბედისწერო ადგილი საბოლოოა ჩვენთვის. მარცხი, ეჭვი არაა, დროებითია, მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ დასანანია, რომ ეს სამარცხვინო ამბავი დაემართა დინამოელთა ახლანდელ თაობას, ახლანდელ მოთამაშეებს, რომელთა პოტენციური შესაძლებლობანი გაცილებით უკეთეს პროდუქციას უნდა იძლეოდეს, ვიდრე ახლა იძლევა. ჩვენს ფეხბურთელებს შორის არიან გამოცდილი, გამობრძმედილი სპორტსმენები, სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი და ახლანდელი წევრები, მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეები. ბევრი მათგანის სახელი ცნობილია არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებისთვისაც. ასეთ ფეხბურთელებს ნატრობენ საუკეთესო კლუბები, ჩვენ კი ახლა ის სადარდელი გაგვიჩნდა, რომ როგორმე თავი ვიხსნათ ბოლო ადგილიდან და გული საგულეს ვიგრძნოთ, ამოვისუნთქოთ… XIV ადგილზე გადასვლით.

მდგომარეობა ისეთია, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ვიტეხთ თავს. აი, ასე წავიდა თბილისის “დინამოს” საქმე. თუ კიდევ ცოტა ხანს ასე გაგრძელდა, კატასტროფულ მდგომარეობამდე მივალთ, მერე კი გვიან იქნება, უახლოეს ორ ტურში შეხვედრები გვაქვს მოსკოვის “დინამოსთან”, ერევნის “არარატთან”…

“ზენიტთან” განვლილმა მატჩმა დინამოელებს ვერც რეაბილიტაცია მოუტანა, ვერც უაღრესად საჭირო გამარჯვება. ისიც ისევე სუსტად, უსისტემოდ და დაბალ დონეზე ჩატარდა, როგორც წინა სამი. მთელი მატჩის აღწერა შეიძლება იმით შემოვფარგლოთ, რომ ანგარიში 34–ე წუთზე გახსნა რეხვიაშვილმა, საპასუხო ბურთი კი 48–ე წუთზე გაიტანა ზინჩენკომ. დანარჩენ დროზე თუ ვილაპარაკებთ, ისევ ის არასახარბიელო დახასიათებები და ეპითეტები უნდა მოვიშველიოთ, რომლებიც ჩვენი საანგარიშო წერილების განუყრელ ლეიტმოტივად იქცა.

ბრალი შექმნილ მდგომარეობაში მიუძღვის მთელ კოლექტივს, ხელმძღვანელობასაც და ფეხბურთელთა მთელი გუნდია დამნაშავე.

თბილისის “დინამოს” სახელოვანი ისტორია თაობებს აქვთ მრავალი წლის მანძილზე შექმნილი, საკუთარი მხრებით გადატანილი და შენახული.

მესამე თაობა იყო ის, რომელმაც თბილისის “დინამო” ჩემპიონთა მედლებამდე აიყვანა.

და აი, მეოთხე თაობა რით იწყებს თავის საფეხბურთო კარიერას. ვფიქრობთ, გულისამაჩუყენელი სიტყვები და საპლაკატო მოწოდებები ზედმეტია. თბილისის “დინამოს” თითოეულმა წევრმა, ყოველმა მოთამაშემ სრული სიცხადით უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, ანალიზი გაუკეთოს გუნდის დღევანდელ მდგომარეობას. სანამ გვიან არაა, არის დრო და შესაძლებლობა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს სამარცხვინო მარცხის გამოსასწორებლად.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 11 მაისი, 1974 წ.